



გიორგი მიქანაძე

საქართველოს პარლამენტის აპარატის უფროსი

დაბადების თარიღი და ადგილი:

20.05.1977, ქ. თბილისი

ოჯახური მდგომარეობა:

დაოჯახებული, ჰყავს მეუღლე და 2 შვილი

განათლება:

1994–1999 – ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის იურიდიული ფაკულტეტი, იურისტი;

2001–2004 – სახელმწიფოსა და სამართლის ინსტიტუტი, მაძიებელი, კვლევითი თემა „ომბუდსმენის ინსტიტუტი დამოუკიდებელ სახელმწიფოთა თანამეგობრობის წევრ ქვეყნებში“;

2002–2003 – ადამიანის უფლებათა დაცვის საერთაშორისო კურსი (ვარშავა, პოლონეთი), ადამიანის უფლებათა ექსპერტი;

2004 – გაეროს ჟენევის ოფისი, სტაჟიორი (2 თვე);

2008–2009 – ესექსის უნივერსიტეტის (გაერთიანებული სამეფო) იურიდიული სკოლა, ევროკავშირის სამართალი, სამართლის მაგისტრი;

2013 წლიდან – ამსტერდამის თავისუფალი უნივერსიტეტისა და ნიდერლანდის დანაშაულისა და ძალოვანი სტრუქტურების კვლევის ცენტრი (ნიდერლანდი), დოქტორანტი, სადისერტაციო თემა „პირობით ვადამდე გათავისუფლების სისტემა საქართველოში“.

შრომითი გამოცდილება:

2016–2018 – სსიპ – საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს აკადემიის რექტორი;

2013–2017 – აღმოსავლეთ ევროპის უნივერსიტეტის იურიდიული ფაკულტეტის ასოცირებული პროფესორი;

2013 წლიდან – სასჯელის აღსრულების იურიდიული კლინიკის და ადამიანის უფლებათა იურიდიული კლინიკის ხელმძღვანელი;

2012 წლიდან – ა(ა)იპ „სასჯელის აღსრულების კვლევითი ცენტრის“ დამფუძნებელი, გამგეობის წევრი;

2011 წლიდან – ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის იურიდიული ფაკულტეტის მიწვეული ლექტორი (სასწავლო კურსი სასჯელაღსრულების სამართალში ბაკალავრიატისა და მაგისტრატურის სტუდენტებთან);

2010–2016 – ევროპის საბჭოს პროექტის ოფიცერი (2010–2013 წწ., თბილისი), პროექტის უფროსი ოფიცერი (2013–2015 წწ., თბილისი); აღმოსავლეთ პარტნიორობისა და

ბალკანეთის ქვეყნების სასჯელაღსრულების პროექტების მენეჯერი (2015-2016 წწ., სტრასბურგი);
2009-2010 – გაეროს განვითარების პროგრამის პროექტის „ადგილობრივი თვითმმართველობის რეფორმის ხელშეწყობა“ ოფიცერი;
2009 – ქ. თბილისის მერიის ა(ა)იპ „თბილისის აგლომერაციის განვითარების სააგენტოს“ უფროსის მოადგილე;
2006 წლიდან – სსიპ – სასჯელაღსრულებისა და პრობაციის სასწავლო ცენტრის მიწვეული ტრენერი;
2005-2008 – საქართველოს იუსტიციის მინისტრის მოადგილე;
2005 – საქართველოს იუსტიციის სამინისტროსა და ეუთოს ერთობლივი პროექტის „ქუთაისის ციხის პერსონალის გადამზადება“ დირექტორი;
2004-2005 – ევროკავშირის პროექტის „სასჯელაღსრულების სისტემის რეფორმა“ ნაციონალური ექსპერტი ინფორმაციისა და გადამზადების საკითხებზე;
2003-2004 – კავშირის – „ადამიანის უფლებათა საგანმანათლებლო ცენტრი“ – გამგეობის თავმჯდომარე;
2001-2003 – კავშირის – „კონსტიტუციურ უფლებათა დაცვის ცენტრი“ – გამგეობის თავმჯდომარე;
2001-2002 – საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს აკადემიის სპეცკურსის „პოლიცია და ადამიანის უფლებები“ მიწვეული ლექტორი;
2000-2002 – საჯარო სკოლა „ბალავარის“ საერთაშორისო სამართლის პედაგოგი;
2000-2001 – გაეროს განვითარების პროგრამის პროექტის „სახალხო დამცველის აპარატის ხელშეწყობა“ იურიდიული მრჩეველი და ფინანსური მენეჯერი;
1999-2000 – საქართველოს სახალხო დამცველის აპარატის რეფერენტ-იურისკონსულტი;
1998-2000 – კავშირის – „ადამიანის უფლებათა თბილისის საერთაშორისო სკოლა“ – დირექტორი;
1998 წლიდან – სწავლების მეთოდოლოგიის საკითხებში საერთაშორისო დონეზე ჩატარებული ტრენინგების ტრენერი;
1995-1999 – თბილისის №1 ექსპერიმენტული საშუალო სკოლის სამართალმცოდნეობის პედაგოგი.

სამეცნიერო შრომები, პუბლიკაციები:

არის 17 სტატიისა და 4 სახელმძღვანელოს ავტორი და 6 სახელმძღვანელოს თანაავტორი.

საკონტაქტო ინფორმაცია:

ტელ.: (+995) 032 228 90 00

ელექტრონული ფოსტა: gmikanadze@parliament.ge